ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №611639

ნომერი: AR1119600

თარიღი : 27.03.2013

გაცემის თარიღი : 27.03.2013

გაცნობის თარიღი : 28.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბუდაპეშტის I შესახვევი N6./ ქალაქი თბილისი , შესახვევი ბუდაპეშტის I , N 8 , (ნაკვეთი N5/43) / ქალაქი თბილისი , შესახვევი ბუდაპეშტის I , N 8 , (ნაკვეთი N5/44) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მუსაშვილი პ/ნ 01023003865
- სან-ზონა 2ა კორპ.ბ#31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 24 ოქტომბრის №01/3199 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 27 მარტს № AR1119600 განცხადებით მომართა შპს „unix construqcion and development group“-ის დირექტორმა გიორგი მუსაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2011 წლის 24 ოქტომბრის №01/3199 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურული პროექტში მათ მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ: გამორჩენილი გეგმების დამატება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 24 ოქტომბრის №01/3199 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ბუდაპეშტის I შეს. №6-ში, ბუდაპეშტის I შეს. №8-ში (ნაკვ. №5/43), ბუდაპეშტის I შეს. №8-ში (ნაკვ. №5/44), შპს „თ.შ- დეველოპმენტი T.S.-DEVELOPMENT“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №005/055), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2011 წლის 01 ნეომბრის №ნ/3483 ნრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა №ნ/3481-1) და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 03 ნოემბრიდან 2014 წლის 03 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით მათ მიერ არქიტექტურულ ნაწილში დაშვებული იქნა ხარვეზი და გამორჩენილია დაკვალვის გეგმა, მიწისქვეშა პარკირების გეგმა -2.70 ნიშნულზე და I სართულის გეგმა +0.00 ნიშნულზე.
სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებაში მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაადგინა, რომ შეთანხმებულ დოკუმენტაციაში სრულად არის წარმოდგენილი როგორც არქიტექტურული ისე კონსტრუქციული, ელმომარაგების და წყალმომარაგების ნაწილი, სადაც არქიტექტურული ნაწილში გამორჩენილი იქნა მხოლოდ გეგმები, ხოლო ჭრილებზე და ფასადებზე და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფიქსირდება გამორჩენილი სართულები, შესაბამისად მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2011 წლის 24 ოქტომბრის №01/3199 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 24 ოქტომბრის №01/3199 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში, კერძოდ: საპროექტო დოკუმენტაციას დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ა-03 - დაკვალვის გეგმა; ა-04 - მიწისქვეშა პარკირების გეგმა -2.70 ნიშნულზე და ა-05 - I სართულის გეგმა +0.00 ნიშნულზე.
2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 24 ოქტომბრის და №01/3199 011 წლის 01 ნეომბრის №ნ/3483 ბრძანებებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.